

პრესრელიზი

„ჯი-აი-ჯი“ წარმატებულ სტუდენტებს დაასაქმებს



„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია საგანმანათლებლო სექტორში მორიგ პროექტს ანხორციელებს. „ჯი-აი-ჯი“ ენერჯეტიკის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულ სტუდენტებს პროფესიული უნარ ჩვევების ასამაღლებლად სწავლის პარალელურად პრაქტიკის

გავლის საშუალებას მისცემს . წარმატებულ სტუდენტებს კი დაასაქმებს. ამ მიზნით საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. შეთანხმების თანახმად კომპანია სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი სამაგისტრო პროგრამის „ენერჯეტიკისა და მინერალური რესურსების მართვა და მდგრადი განვითარება“ წარმატებულ სტუდენტებს სწავლების მე-4 სემესტრის დასასრულს პრაქტიკა გაიარონ „ჯი-აი-ჯი“-სთან აფილირებულ კომპანიებში .ასევე გაიმართება შესაბამისი ლექციები და შეხვედრები. ურთიერთგაგების მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის გენერალურმა დირექტორმა ზურაბ გელენიძემ და ილიაუნის რექტორის მოადგილემ ნინო დვალიძემ.

27.07.2017

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

